სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

25/08/2026

MES 2 26 0001091170

**ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ვადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუ-ის საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა პირველადი რეგისტრაცია განხორციელდეს 2026 წლის 3 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე - register.gtu.ge და რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია - (იხ. დანართი - 1) წარმოადგინონ შესაბამის ფაკულტეტებზე (საკონტაქტო ინფორმაცია - იხ. დანართი 2;)
2. რეგისტრაცია გავლილი აბიტურიენტების სტუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ერთიანი აქტი, გამოიცეს არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა.
3. ის პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდება რექტორის ერთიან აქტში სტუ-ში აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში დაწესებულებისათვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია მიმართოს სტუ-ში

ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის სექტემბრამდე;

4. დაევალოს ფაკულტეტს უზრუნველყოს register.gtu.ge-ზე ატვირთული ინფორმაციისა და რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება;
5. ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ. წერეთელს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი

ელექტრონული მფარველობა
ელექტრონული